



აზანი წართლის  
სახელმწიფო უნივერსიტატი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სალოქტორო პროგრამა

ქართული ლიტერატურა

ქუთაისი

2011

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ქართული ლიტერატურა  
Georgian Literature**

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology

**პროგრამის ხელმძღვანელი :** *ავთანდილ ნიკოლეიშვილი* – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფ.

**პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

**სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

ქართული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკვლევარ-ლიტერატურათმცოდნედ, რომელსაც ჩამოყალიბებული ექნება შესაბამისი დარგის პრობლემური საკითხების მაღალკვალიფიციური გააზრებისა და შეფასების უნარი. პროგრამა შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და მისი განმახორციელებელია ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ლიტერატურის მიმართულება. პროგრამის მიზანდასახულობიდან გამომდინარე და კომპარატივისტული კვლევის მასშტაბების გასაფართოებლად მისი განხორციელების პროცესში, ასევე, ჩართული არიან ხსენებული ფაკულტეტის ევროპული და ამერიკული ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მოიცავს 180 კრედიტ-საათს, მათ შორის: 60 სთ. სასწავლო კომპონენტისათვის, 120 სთ. კი კვლევისათვის. 1 კრედიტი შეესაბამება 30 საათს. სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

**ა) პროგრამის მიზანი:** სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით მაგისტრატურის დონეზე შექმნილი ცოდნის შემდგომ გაღრმავებას ქართული ლიტერატურაში და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მაღალი დონის მეცნიერ-მკვლევრად მის ჩამოყალიბებას. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების შედეგად ახლებური თვალთახედვით გაიაზრება და წარმოჩინდება ქართული მწერლობის როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო როლი და მნიშვნელობა, მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო და უმთავრესი პრობლემები. კერძოდ, პროგრამის უმთავრესი მიზნებია:

– მოამზადოს დოქტორები ძველი, XIX და XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის და საბოლოოდ ჩამოუყალიბოს მათ ლიტერატურული ტექსტებისა და სამეცნიერო ნაშრომების პროფესიული თვალთახედვით გაანალიზებისა და შეფასების უნარი;

– განუმტკიცოს მათ მოვლენათა კრიტიკულად განსჯისა და სამეცნიერო ნაშრომის დაწერის უნარი;

– ჩამოუყალიბოს ინტერდისციპლინარული კვლევის ჩვევები და საფუძვლიანად გაარკვიოს განსხვავებული მეცნიერული მეთოდების არსი;

– ახლებური თვალთახედვით გაააზრებინოს როგორც ქართული ლიტერატურის განვითარებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი უმთავრესი ტენდენციები და

სპეციფიკური ნიშან-თვისებები, ისე ცალკეულ ქართველ მწერალთა შემოქმედებასა და მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები;

– სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევინოს ნაკლებად შესწავლილ საკითხთა და სადავოდ ქვეულ პრობლემათა კვლევისათვის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებითა და ახალი მეცნიერული მეთოდების გამოყენებით;

– მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესი განუყოფლად დააკავშირებინოს ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო მიღწევებთან და ლიტერატურულ მოვლენათა განალიზების უმთავრეს გზად და მიმართულებად დაუსახოს მათი შესწავლა შესაბამისი პერიოდების მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში.

– განუმტკიცოს ინტერესი საქართველოსა და უცხოეთის არქივებში, მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში ახალი და დღემდე უცნობი მასალების მოძიებისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა;

– მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად დაასახვინოს ემიგრანტ მწერალთა შემოქმედების შესწავლა.

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად მომზადებული კადრები თავიანთი სპეციალობით კონკურენტუნარიანნი იქნებიან შრომით ბაზარზე და წარმატებით შეეძლებათ იმუშაონ როგორც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ისე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.

## **მოსალოდნელი შედეგი:**

### **1. ცოდნა და გაცნობიერება:**

– პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ დოქტორს ექნება ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა – დამყარებული უახლეს მიღწევათა დონეზე, რაც არსებული ცოდნის შემდგომი გაღრმავება-გაფართოების, ინოვაციური მეთოდების გამოყენების, მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრების და, აუცილებლობის შემთხვევაში, მისი გადაფასების შესაძლებლობას მისცემს;

– ჩამოყალიბებული ექნება კვლევა-ძიების უნარ-ჩვევები, რაც შესაძლებლობას მისცემს მეცნიერული მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;

– მაღალ პროფესიულ დონეზე ექნება შესწავლილი უმთავრესი ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები, ძირითადი და უახლესი სამეცნიერო კონცეფციები და კვლევის განსხვავებული მეთოდები, რომელთა საფუძველზეც შეეძლება ლიტერატურული მასალის მეცნიერულად შესწავლა;

– ახლებური თვალთახედვით ექნება გაცნობიერებული და გააზრებული ის უმნიშვნელოვანესი ტენდენციები და თავისებურებები, რითაც ქართული ლიტერატურა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების შემოქმედება ხასიათდება;

– ქართული მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები და პრობლემური საკითხები შესწავლილი ექნება მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენათა კონტექსტში;

– ღრმად და საფუძვლიანად ექნება გაცნობიერებული ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, როლი და ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში.

ყველა ამ შედეგის რეალურად მიღწევის დონეები შემოწმდება სისტემატურად – შუალედური შეფასებებით, ფინალური გამოცდებით, არგუმენტირებული ესეების

დაწერითა და პრეზენტაციებით, სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციებითა და სხვა საშუალებათა გამოყენებით. დოქტორანტის მომზადების დონე საბოლოოდ შეფასებულ იქნება სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვით.

## **2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ დოქტორს შეეძლება:

- სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება და მუდმივი ძიება, დამყარებული უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე;
- სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების დაწერა და გამოქვეყნება როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და მოხსენებებით გამოსვლა;
- კომპლექსური მიდგომის საფუძველზე პრობლემათა გადასაჭრელი გზების ძიება;
- უახლესი მეთოდების გამოყენება ლიტერატურულ მოვლენათა დამოუკიდებლად კვლევის პროცესში;
- ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული პრობლემების არსში ღრმად გარკვევა და მათი გადაჭრისას ლოგიკური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება;
- ქართულ და უცხოურ ენაზე არსებული უახლესი სამეცნიერო ინფორმაციების მოძიება და გამოყენება;
- ახალი პროექტების დაგეგმვა და პრაქტიკაში დანერგვა;
- შეძენილი ცოდნის გამოყენება სწავლების პროცესის მაღალ პროფესიულ დონეზე წარსამართად.

## **3. დასკვნის უნარი:**

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ დოქტორს შეეძლება:

- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მოვლენათა კრიტიკულად გაანალიზება და შეფასება და ამის საფუძველზე სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება.

## **4. კომუნიკაციის უნარი:**

ფილოლოგიის დოქტორს შეეძლება:

- საკუთარ შეხედულებათა გამოხატვა და დასაბუთება როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით;
- სათანადო სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების მოძიება ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებსა თუ ინტერნეტში არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ ენაზეც;
- სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და თემატურ პოლემიკაში ჩაბმა როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებთან.

## 5. სწავლის უნარი:

– უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი სამეცნიერო იდეების ასათვისებლად მუდმივი მზადყოფნა და გამოყენება მეცნიერული კვლევის პროცესში;

– ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევებისთვის მუდმივად თვალყურის დევნება, ახალი ნაშრომების კრიტიკულად შეფასება და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება.

## 6. ღირებულებები:

– პროფესიული ეთიკის ნორმათა დაცვა და სხვათა დამსახურების კეთილსინდისიერად შეფასების საფუძველზე ახალ სამეცნიერო ღირებულებათა დამკვიდრება;

– ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერატურული, მეცნიერული და სხვა სახის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა;

– პრობლემური საკითხებისადმი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია;

– მტკიცე ეროვნული თვითშეგნება.

**კურსდამთავრებულთა დასაქმების სწორი პოზიცია:** კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება უმაღლეს სასწავლებლებში, სხვადასხვა დონის სასწავლო დაწესებულებაში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, მუზეუმებში, არქივებში, მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებელ დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებში და ა. შ.

### • პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მინიმალური მოთხოვნებია:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი ქართული ფილოლოგიაში.
2. ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის წარმოდგენა).
3. სპეციალობაში მისაღები გამოცდის ჩაბარება.

ამასთან, კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <http://www.atu.edu.ge/index.html>)

პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს“ დებულებით.

- იმ დოქტორანტიების რაოდენობა, რომელთა მიღება არის შესაძლებელი არსებული აკადემიური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე: დეპარტამენტს შეუძლია ყოველწლიურად მიიღოს ერთი ან ორი დოქტორანტი.

**დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

- **პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა.** დოქტორანტების მოსამზადებლად უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნებათ მათთვის საჭირო წიგნები, პერიოდული გამოცემები და საარქივო მასალები შეუზღუდველად მოიძიონ როგორც ქუთაისის, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, ასევე სხვადასხვა სახის ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში.

- **პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმასრულებელი აკადემიური პერსონალის და მოწვეული პირების ჩამონათვალი და მათი cv:** სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულნი იქნებიან დეპარტამენტის სრული და ასოცირებული პროფესორები, რომელთა პირადი მონაცემებიც დანართის სახით თან ახლავს წარმოდგენილ პროგრამას.

კომპეტენციების ცხრილი:

		დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
		ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საგნები	შესასწავლი პერიოდის ქართული მწერლობის პრობლემური საკითხები და მათი კვლევის უმთავრესი მიმართულებანი თანამედროვე ეტაპზე	+	+	+	+	+	+
	თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები	+	+	+	+	+	+
	დოქტორანტი სემინარი	+	+	+	+	+	+
	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა	+	+	+	+	+	
	აკაკი წერეთლის შემოქმედებითი პროცესის საკითხები	+	+	+			+
	XIX საუკუნის ქართული დრამატურგიის პრობლემური საკითხები	+	+	+			
	XX საუკუნის ქართული პოეზიის პოეტიკა	+	+	+	+	+	+
	XX საუკუნის ქართული მოდერნისტული რომანი ევროპული პროზის კონტექსტში	+	+	+	+	+	
	დარგში კვლევის თანამედროვე მეთოდები	+	+	+	+	+	+
	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+
	ქართული აგიოგრაფიის სახისმეტყველება	+	+	+	+	+	+
	ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი	+	+	+	+	+	+
	ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობანი	+	+				+
	დასავლეთ ევროპული ლიტერატურის პრობლემური საკითხები (XIX ს.)	+	+	+	+	+	+
	თანამედროვე დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები	+	+			+	
	ფრანგული სიმბოლისტური პოეზია	+	+	+			
	პედაგოგიური პრაქტიკა	+	+	+	+	+	+

დარგობრივი კურსების მოდული

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედ რაოდ.	რედ. რაოდ. სემესტრ. იხედვით				გამ სემ	საათ.რაოდენობა			
				I	II	III	IV		I	II	III	IV
1.	შესასწავლი პერიოდის ქართული მწერლობის პრობლემური საკითხები და მათი კვლევის უმთავრესი მიმართულებანი თანამედროვე ეტაპზე	სავალდებულო	5	5				1	1/1			
2.	თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები	სავალდებულო	5		5			2		1/1		
3.	დოქტორანტის სემინარი	სავალდებულო	15		5	5	5	2,3,4		1/1	1/1	1/1
	არჩევითი კურსები	არჩევითი	20	5	5	5	5	1,2,3,4	1/1	1/1	1/1	1/1
1.	შედარებითი ლიტმცოდნეობა											
2.	ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობანი											
3.	ქართული აგიოგრაფიის სახისმეტყველება											
4.	ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი (XI - XVIII სს.)											
5.	XIX საუკუნის ქართული დრამატურგიის პრობლემური საკითხები											
6.	აკაკი წერეთლის შემოქმედებითი პროცესის საკითხები											
7.	XX საუკუნის ქართული მოდერნისტული რომანი ევროპული პროზის კონტექსტში											
8.	XX საუკუნის ქართული პოეზიის პოეტიკა											
9.	დასავლეთ ევროპული ლიტერატურის პრობლემური საკითხები (XX სს.)											
10.	ფრანგული სიმბოლისტური პოეზია											
11.	თანამედროვე დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები											

### დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდული

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტ განაწილება სემესტრ. მიხედვით				გამ.	საათ. რაოდ.
				I	II	III	IV		
1.	დარგში კვლევის თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5	5				1	1/1
2.	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდებულო	5			5		3	1/1
2.	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდებულო	5				5	4	1/1

სასწავლო მოდულის კრედიტების საერთო რაოდენობა 60.

### კვლევითი კომპონენტი

N	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						კრედ. რაოდენობა
			I	II	III	IV	V	VI	
1.	ბიბლიოგრაფიის შედგენა	სავალდებულო	10	10					20
2.	დისერტაციის პროექტის წარდგენა	სავალდებულო		5					5
3.	კოლოკვიუმები	სავალდებულო			10	5	5		20
4.	პუბლიკაციები	სავალდებულო			5	10	10		25
5.	დისერტაციის პრეზენტაცია გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე	სავალდებულო					5		5
6.	დაცვა	სავალდებულო						45	45

კვლევითი კომპონენტის კრედიტების საერთო რაოდენობა – 120  
**კრედიტების რაოდენობა სულ: 180**